ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და

ა(ა)იპ სამი კურდღელს შორის

ქ. ბათუმი
წელი

22 მაისი, 2023

პრეამბულა

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის მიერ და მეორე მხრივ, ა(ა)იპ სამი კურდღელი წარმოდგენილი დირექტორის, მაკა კილაძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული, ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ ერთმანეთის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსს მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

1.3. მხარეები ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს, მოამზადებენ ერთობლივ კონფერენციებს, საჯარო ლექციებს, მასტერკლასებს და სხვადასხვა სახის ერთჯერად პროექტებს.

1.4. მხარეები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას.

1.5. ა(ა)იპ სამი კურდღელი უზრუნველყოფს შემოქმედებით პროექტებში სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.
3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

ო. კეჟერაძე

მის.: ბათუმი 6000, ზ.გორგილაძის/
ვაჟა-ფშაველას №19/32
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
ტელ.: +995 551 21 75 77
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

ა(ა)იპ სამი კურდღელის
დირექტორი

მ. კილაძე

მის.: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი,
წყნეთის გზატკეცილი N20
საიდენტიფიკაციო კოდი: 405242170
ტელ.: +995 557 26 10 04
ელ.ფოსტა: circeplatform@gmail.com
ვებ.გვ. circeplatform.com